



აქაი წერეთლის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2016 წლის თვითმეფასების ანგარიშში დამატებით წარმოდგენილი აკადემიური პროგრამა

2016 სასწავლო წელი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.....	3
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.....	3
ინგლისური ფილოლოგია(ინგლისურენოვანი).....	3

## ინგლისური ფილოლოგია (ინგლისურენოვანი)

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

### პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური, სათანადო კომპეტენციის ლიბერალური ღირებულებების, პროფესიული ზრდასა და შემდგომ ეტაპზე სწავლის უნარის მქონე, პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული ფილოლოგი, რომელიც აღჭურვილი იქნება საფუძვლიანი აკადემიური ცოდნით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ზოგადად და კერძოდ, ინგლისურ ფილოლოგიაში. ფილოლოგიის როგორც დისციპლინის მრავალგანზომილებიანი ხასიათის გათვალისწინებით, პროგრამა მოიცავს კურსების ფართო სპექტრს, რომელიც უზრუნველყოფს ინგლისური ენისა და ლიტერატურის და კულტურის სრულყოფილ შესწავლასა და გაანალიზებას. უფრო კონკრეტულად, პროგრამა მიზანად ისახავს:

- გამოუმუშაოს სტუდენტებს პრაქტიკული კომუნიკაციის უნარი ინგლისურ ენაზე, ენის სისტემების შესწავლისა და უნარების განვითარების საშუალებით;
- აღჭურვოს ისინი ლინგვისტური თეორიების ფართო ცოდნით;
- მისცეს სტუდენტებს ცოდნა ინგლისური ლიტერატურის განვითარების პერიოდების და ძირითადი მიმდინარეობების შესახებ, გააცნოს მათ სხვადასხვა ჟანრის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლების შემოქმედება;
- აღჭურვოს სტუდენტი ინგლისურენოვანი სამყაროს უახლესი მახასიათებლების ცოდნით და განუვითაროს მას კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვის უნარ-ჩვევები.
- აღჭურვოს ისინი ანალიტიკური აზროვნებისა და ლოგიკური მსჯელობის უნარით, რაც მყარ საფუძველს ქმნის უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და პიროვნული განვითარებისათვის.

### პროგრამის სტრუქტურა

პროგრამისათვის სავალდებულო კურსები	153 ECTS კრედიტი
პროგრამისათვის არჩევითი კურსები	42 ECTS კრედიტი
თავისუფალი კრედიტები <sup>2</sup>	6 ECTS კრედიტი
კონცენტრაცია	39 ECTS კრედიტი
სულ	240 ECTS კრედიტი

### სწავლის შედეგები

#### ცოდნა და გაცნობიერება

კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს აქვს:

- სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;
- ინგლისური ენის ფლობის მაღალი დონე, გამომუშავებული ექნება როგორც რეცეპტული, ისე პროდუქტული უნარები და შეეძლება ენის გამოყენება რეგისტრისა და ფუნქციების მრავალფეროვნების გათვალისწინებით;
- ინგლისური ენის სისტემის ცოდნის მაღალი დონე, კერძოდ, მდიდარი აქტიური ლექსიკა და გრამატიკის საფუძვლიანი ცოდნა;

- ლინგვისტურ დისციპლინათა საფუძვლების, მათ შორის ინგლისური ენის თეორიის, ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის, თეორიულ გრამატიკის, ენის ისტორიის და ზოგად ენათმეცნიერების, ცოდნა;
- ინგლისური ლიტერატურის ისტორიის განვითარების ეტაპების საფუძვლიანი ცოდნა ძირითადი პერიოდებისა და ლიტერატურული ტენდენციებისადმი ზოგადი ესთეტიკური პრინციპების გათვალისწინებით;
- საბაზისო კონცეპტების ცოდნა როგორც კლასიკურ, ისე ინგლისური ფილოლოგიაში.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტს შეეძლება აირჩიოს კონცენტრაცია **“ბრიტანეთმცოდნეობა”** ან **„ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია“**.  
 კონცენტრაცია **“ბრიტანეთმცოდნეობა”** დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება:

- ზოგადი ცოდნა ბრიტანეთის ისტორიის ძირითადი ეტაპების შესახებ და შეაფასებს ბრიტანეთის კულტურას ევროპული კულტურის კონტექსტში;
- ცოდნა დიდი ბრიტანეთის ეკონომიური, პოლიტიკური და საგანმანათლებლო სისტემის შესახებ;
- ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების როლის შესახებ თანამედროვე სამყაროში და ეცოდინება ბრიტანეთსა და საქართველოს შორის არსებული კულტურული ურთიერთობების შესახებ.

**კონცენტრაციის - „ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია“** დასრულების შემდეგ სტუდენტმა იცის:

- ინგლისური ენის სწავლებაში არსებული მეთოდები და მიდგომები;
- ინგლისური ენისა და ლიტერატურის სწავლებაში გამოყენებული სხვადასხვა ტექნიკა და სტრატეგიები;
- ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპები და მოსაზრებები, რომელიც საფუძვლად უდევს პრაქტიკულად ენის სწავლებას;
- მასწავლებლის ენის კონკრეტული მახასიათებლები.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

- კომპეტენტურად გამოიყენოს ინგლისური ენის ცოდნა სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში;
- გაანალიზოს და შეაფასოს ინგლისური ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა ეტაპი, მათი სირთულე და თითოეული ეტაპის მნიშვნელობა ლიტერატურის ისტორიაში;
- გაანალიზოს და შეაფასოს ლიტერატურული და ლინგვოკულტურული პროცესების მთავარი პრობლემური საკითხები;
- სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად
- განახორციელოს მცირე ზომის პროექტები და დაამუშავოს აკადემიური ნაშრომები ზედამხედველობის ქვეშ პროგრამის ფარგლებში ათვისებულ;
- ყურადღებით განიხილოს ტექსტთან დაკავშირებული დეტალები, გაანალიზოს ლიტერატურული ტექსტები ესთეტიური და ლიტერატურული პრინციპებისა და შესაბამისი ლიტერატურული ტერმინოლოგიის გამოყენებით;

- შეაფასოს მხატვრული ნამუშევრების ხარისხი და მხატვრული ღირებულება, გააანალიზოს საკუთარი სოციალური და კულტურული ფასეულობები და გამოიმუშაოს კრიტიკული აზროვნების უნარი როგორც წერილობით, ისე ზეპირად.
- გამოიყენოს ინგლისური ენის თეორიის ცოდნა სხვადასხვა ლინგვისტური საკითხებისა და სიტუაციების გასაანალიზებლად;
- გამოიყენოს პრესის ენის ცოდნა ავთენტური მასალის წასაკითხად, შეძლოს ინტერნეტის ენის, რადიო და ტელე გადაცემების გაგება და საგაზეთო სტატიების წერა.

**„ბრიტანეთმცოდნეობის“** არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეეძლება:

- გამოიყენოს პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნა ბრიტანეთის საგანმანათლებლო სისტემის, საგანმანათლებლო პოლიტიკის გასაანალიზებლად და შეაფასოს განათლების თანამედროვე ტენდენციების გლობალურ პროცესებთან მიმართებაში;
- გააანალიზოს და შეაფასოს ქვეყნის გეოგრაფიული, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარება;
- შეაფასოს სოციალურ-ეკონომიური და ტექნოლოგიური ცვლილებების გავლენა ბრიტანული საზოგადოების განვითარებაზე;
- განსაზღვროს და გააანალიზოს საერთაშორისო ურთიერთობათა არსი თანამედროვე სამყაროში;
- გააცნობიეროს ბრიტანეთის კულტურის საბაზისო ესთეტიკური კატეგორიები და ცნებები;
- გააანალიზოს ბრიტანეთის კონსტიტუციური და საჯარო მმართველობის პოლიტიკა და დაინახოს პერპექტივები აღნიშნული სფეროში;
- გააცნობიეროს და შეაფასოს ბრიტანეთის კულტურის როლი მთლიან ევროპულ კულტურაში;
- გააანალიზოს და შეაფასოს ბრიტანელი ქართველოლოგების შემოქმედებითი საქმიანობა.

**„ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის“** არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია:

- შეარჩიოს და გამოიყენოს დიდაქტიკის ძირითადი პედაგოგიური პრინციპები და თანამედროვე სწავლების ტექნოლოგიები სწავლებისა და სწავლის პროცესის სწორად განხორციელებისათვის;
- შეასრულოს მასწავლებლის საქმიანობისთვის საჭირო დავალებების, როგორცაა გაკვეთილის დაგეგმვა, გაკვეთილის ახსნა, ინსტრუქციის მიცემა, შეკითხვებზე პასუხის გაცემა, რეაგირება და ა.შ ინგლისურ ენაზე;
- გამოიყენოს ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეპტების ცოდნა გაკვეთილის ენისა და საგაკვეთილო აქტივობების გაანალიზებისათვის;
- გამოიყენოს კოგნიტური, ემოციური და ლინგვისტური პრინციპები ენის სწავლის (და შესაძლოა) სწავლების შეფასებისას და ჩამოაყალიბოს საკუთარი მიდგომა ინგლისური ენის სწავლებისადმი;
- შეიმუშაოს პროცედურა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს დისციპლინის დარღვევისა და ქცევის პრობლემებს;
- შეიმუშაოს გაკვეთილის მართვის სპეციფიური ტექნიკა, რათა შექმნას დადებითი საგაკვეთილო გარემო და გუნდურობის განცდა მოსწავლეებს შორის;

გამოიყენოს ტესტის მახასიათებლების ცოდნა და შეფასების ინსტრუმენტები ტესტების გასაანალიზებლად და ასევე შეძლოს ტესტისათვის ორიგინალური საკითხების მოფიქრება.

<p><b>დასკვნის გაკეთების უნარი</b></p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრს აქვს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვების და განმარტების, ასევე სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზის, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;</li> <li>• ინგლისური ენისა და ლიტერატურის საკვანძო საკითხებზე სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიების და მონაცემების შეგროვების უნარი;</li> <li>• საკვლევ თემასთან წყაროების შესაბამისობის (საკუთარი ინტერესების სფეროს გათვალისწინებით) კრიტიკულად შეფასების უნარი;</li> <li>• ინგლისური ენისა და ლიტერატურის სფეროში ძირითადი პრობლემების შესახებ წერილობითი თუ ზეპირი მსჯელობის უნარი;</li> <li>• ცოდნის სისტემატიზაციის და კრიტიკული ანალიზის შემდეგ სათანადო დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;</li> <li>• მიღებული ინფორმაციის იმგვარად ორგანიზების და დახარისხების უნარი, რომ შეძლოს საკითხის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტების შეჯამება.</li> </ul>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>
<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თანამიმდევრულად და აკადემიურად ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, იდეები და მოახდინოს ინფორმაციის გაცვლა გასაგები ტერმინოლოგიითა და ენით როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;</li> <li>• წარმოადგინოს აკადემიური საქმიანობის შედეგები შესაფერისი ცნებებისა და ტერმინოლოგიის გამოყენებით, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად;</li> <li>• მოიძიოს საჭირო ინფორმაცია თანამედროვე საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით და ზოგადად, გამოიყენოს ინფორმაციული ტექნოლოგიები აკადემიური და პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით;</li> <li>• ჩაერთოს დისკუსიებსა და დებატებში სხვადასხვა თემებზე წინასწარი მომზადების გარეშე;</li> <li>• ფილოლოგიის სფეროში იდეების, არსებული პრობლემების და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ინგლისურ ენაზე.</li> </ul>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განივითაროს ინდივიდუალური, წყვილში და ჯგუფური მუშაობის უნარები;</li> <li>• შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი, განსაზღვროს საკუთარი სწავლის საჭიროებები და შესაძლებლობები;</li> <li>• განივითაროს ბიბლიოთეკაში მუშაობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარები სწავლის პროცესში;</li> </ul>

- საკუთარი სასწავლო პროცესის თანმიმდევრული გააზრება და შეფასება შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის;
- დროის ადეკვატურად განაწილება სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად.

#### **ღირებულებები**

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- არის მგრძობიარე კულტურული მრავალფეროვნებისადმი და იზიარებს სამიზნე ენის კულტურისთვის ფასეულ ღირებულებებს;
- აფასებს ინგლისურ ეროვნულ და კულტურულ მემკვიდრეობას;
- შეუძლია წამოიწყოს და წარმართოს ინტერკულტურული დიალოგი საკუთარი და სამიზნე ენის კულტურათა გათვალისწინებით;
- წარმატებით ახდინოს ადაპტირებას სამიზნე ენის გარემოში და პატივს სცემს ინდივიდუალურ და ეროვნულ განსხვავებებს.